თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 08.04..2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. ლაშა გურგენიძე, 3. იზა მაგრაქველიძე, 4. დავით გოგბერაშვილი, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. დავით ცხადაძე.

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. ნინო მახათაძე, 3. ელისო მურადაშვილი,

კომისიის შემადგენლობა: 10 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 6
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282209487, 04.04.2022 წ.).

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - წარმოდგენილი სოციალური პროგრამის პროექტით (ბიუჯეტი 5000), რომლის შექმნაც განაპირობა მუნიციპალიტეტში რამოდენიმე უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით წარმოქმნილმა სირთულეებმა, უზრუნველყოფილი იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის (რომელსაც არ ჰყავს პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა,

მეუღლე, ბაბუა, ბებია, შვილი (გერი, შვილიშვილი) სარიტუალო მომსახურებით (დაკრძალვით).

აზრი გამოთქვეს: ლაშა გურგენიძემ, ბადრი ბუცხრიკიძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მომზადებულად ჩაითვალოს და განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282209487, 04.04.2022 წ.).

კომისიის თავმჯდომარე

შალვა ჭანკვეტაძე